II

ტესტი ისტორიაში

2014

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ზედმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი აღნიშვნები, არ გასწორდება!

პირველი ტიპის დავალებაში თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

სხვა ტიპის დავალებებში თქვენს მიერ დაშვებული შეცდომა აუცილებლად უნდა გადახაზოთ (არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ფრჩხილები!) და ზემოთ დააწეროთ სწორი პასუხი.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის განკუთვნილი ადგილები.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ აბიტურიენტს ეძლევა 2,5 საათი.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტში არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

654027

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა ცვლილება მოხდა ნეოლითის ხანაში?

ა. შეიქმნა ბრინჯაოს იარაღი

ბ. ადამიანი გადავიდა ბინადარ ცხოვრებაზე

გ. დამყარდა მატრიარქატი

დ. ადამიანმა დაიწყო ცეცხლის გამოყენება

2. მეფე ხამურაბის დროინდელი რომელი უძველესი დოკუმენტია ჩვენამდე მოღწეული?

ა. საგადასახადო დავთრები

ბ. კანონთა კრებული

გ. მეფეთა ქრონიკები

დ. საერთაშორისო ხელშეკრულება

3. რით ხასიათდებოდა ძვ.წ.-ის IV საუკუნეში ჩამოყალიბებული ელინისტური სახელმწიფოები?

ა. მაკედონურ–სპარსული სამხედრო ხელოვნების შერწყმის შედეგად ახალი ტიპის კავალერიის შექმნით

ბ. ალექსანდრე მაკედონელის სარდლების მიერ დაარსებული ბერძნულ-მაკედონური სამეფო დინასტიების მმართველობით

გ. სახელმწიფოს სატრაპიებად დაყოფის ნაცვლად პოლისური მმართველობის სისტემის დამკვიდრებით

დ. მეურნეობის წარმართვის აღმოსავლური და დასავლური ხერხების შერწყმის შედეგად მონობის სრული გაუქმებით

4. რომელ ისტორიულ მოვლენას უკავშირდება გამოთქმა: „წილი ნაყარია“?

ა. მარიუსის მიერ დიქტატურის დამყარებას

ბ. კეისრის მიერ სამოქალაქო ომის დაწყებას

გ. სულას მეთაურობით ლეგიონების შესვლას რომში

დ. კრასუსის იერიშს აჯანყებულ მონათა ლაშქარზე

5. რა პირობით გაიცემოდა ფეოდი შუა საუკუნეების ევროპაში?

ა. საეკლესიო მორჩილების

ბ. ამქარში გაერთიანების

გ. სამხედრო სამსახურის

დ. გილდიაში გაწევრიანების

6. რას გულისხმობდა „ხატმებრძოლეობა“?

ა. ხატებზე მეომრების გამოსახვას

ბ. ხატების თაყვანისცემის აკრძალვას

გ. ჯარის სვლას ხატების წინამძღოლობით

დ. ფარზე ხატების გამოსახვის ვალდებულებას

7. რა შედეგით დასრულდა მანასკერტის ბრძოლა 1071 წელს?

ა. თურქ-სელჩუკებმა გაიმარჯვეს და ჩრდილოეთ ირანი დაიპყრეს

ბ. ირანელებმა ბიზანტიის ჯარის დახმარებით თურქ-სელჩუკები მოიგერიეს

გ. თურქ-სელჩუკებმა ბიზანტიის ჯარი დაამარცხეს და იმპერატორი დაატყვევეს

დ. ბიზანტიის არმიამ თურქ-სელჩუკები დაამარცხა და თავის სამფლობელოებიდან განდევნა

8. რომელი მხარეების შემომტკიცებისას გადაიხადა დავით აღმაშენებელმა ერწუხის ბრძოლა?

ა. კახეთ-ჰერეთის

ბ. ლორე-ტაშირის

გ. ტაო-კლარჯეთის

დ. სამცხე-ჯავახეთის

9. ვინ დაამარცხეს ქართველებმა შამქორის ბრძოლაში?

ა. ფადლონი

ბ. აბუ ბაქრი

გ. რუქნ ად-დინი

დ. ილ-ღაზი

10. რა მიზნით შექმნა ჰულაგუ ყაენმა შირვანში სადარაჯო სიმაგრეთა სისტემა?

ა. ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი შემოსევებისგან თავის დასაცავად

ბ. თემურ ლენგის ჯარის მოსაგერიებლად

გ. ხაზართა საემიროს შემოსევის შესაჩერებლად

დ. აჯანყებული სამხრეთ კავკასიის დასამორჩილებლად

11. რა მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთისთვის ვენის აღებას?

ა. მოიპოვებდა გასასვლელს ეგეოსის ზღვაზე

ბ. დაიპყრობდა ჰაბსბურგთა უკანასკნელ სამფლობელოს

გ. უშუალოდ გაუმეზობლდებოდა თავის მოკავშირე პრუსიას

დ. გაიმყარებდა პოზიციებს ცენტრალურ ევროპაში

12. ქართლის ტახტის დაკავებამდე ვახტანგ VI ტყვეობაში იმყოფებოდა ისპაჰანში. რა იყო ამის მიზეზი?

ა. ისლამის მიღებაზე უარის თქმა

ბ. ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოების მცდელობა

გ. ირანის მიერ წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობისგან თავის არიდება

დ. გამუსლიმებული ქართველი ფეოდალების დაპატიმრება

13. რა მიზნით შეიქმნა რუსეთში „ოპრიჩნიკების“ ინსტიტუტი?

ა. სასამართლო რეფორმის ჩასატარებლად

ბ. საგადასახადო სისტემის მოსაწესრიგებლად

გ. პირველი რუსული პარლამენტის ჩამოსაყალიბებლად

დ. მეფის მმართველობის გასაძლიერებლად

14. საფრანგეთის რომელი მეფის დროს მოღვაწეობდა ჟან კოლბერი?

ა. ფილიპე IV-ის

ბ. ანრი II-ის

გ. ფრანსუა I-ის

დ. ლუი XIV-ის

15. რომელი ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოროდინოს ბრძოლაში რუსები დამარცხდნენ?

ა. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დედაქალაქი სასწრაფოდ პეტერბურგში გადაიტანეს

ბ. ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა რუსების მიერ დატოვებული ქალაქი მოსკოვი დაიკავეს

გ. საფრანგეთის არმიის ზურგში კარგად ორგანიზებული პარტიზანული მოძრაობა დაიწყო

დ. რუსეთის მიერ ოკუპირებულ პოლონეთში დიდმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა

16. რა მოვლენას მოჰყვა შედეგად შარლ X-ის საფრანგეთიდან გაქცევა?

ა. სედანთან განცდილ მარცხს და საფრანგეთის არმიის დანებებას

ბ. ნაპოლეონის მიერ კუნძულ წმ. ელენეს დატოვებას და საფრანგეთში დაბრუნებას

გ. მარენგოს ბრძოლას, რომლის შემდეგაც მოკავშირეებმა პარიზი დაიკავეს

დ. პარიზში დაწყებულ აჯანყებას, რომელიც რევოლუციაში გადაიზარდა

17. სხვა ღონისძიებებთან ერთად, რა მოიმოქმედა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სახელმწიფოში არსებული ვითარების გამოსწორების მიზნით?

ა. ჩამოაყალიბა საკანონმდებლო ორგანო - სახელმწიფო სათათბირო

ბ. სასწრაფოდ შეწყვიტა ომი პოლონეთთან და დადო პარიზის ზავი

გ. გამოსცა ბრძანება ბატონყმობის გაუქმების შესახებ

დ. პარლამენტს დაავალა კონსტიტუციის პროექტის შემუშავება

18. ბისმარკის აზრით, რა იყო ომში ავსტრიის სწრაფი დამარცხების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა?

ა. ოსმალეთის მოკავშირეობა

ბ. შლიფენის დანიშვნა მთავარსარდლად

გ. ომში რუსეთისა და საფრანგეთის ჩაურევლობა

დ. რკინიგზის გამოყენება ჯარების სწრაფი გადასროლის მიზნით

19. რომელი სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი დაარღვია გერმანიამ საფრანგეთში შესაჭრელად 1914 წელს?

ა. ბელგიის

ბ. შვეიცარიის

გ. დანიის

დ. ფლანდრიის

20. რას გულისხმობენ თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ორხელისუფლებიანობის დამყარებაში?

ა. დროებითი მთავრობისა და საბჭოების ერთდროულ მოღვაწეობას

ბ. სახელმწიფო სათათბიროსა და ინტერპარტიული საბჭოს თანაარსებობას

გ. ლენინის მთავრობისა და დენიკინის კომიტეტის ერთობლივ მოქმედებას

დ. კერენსკის მმართველობისა და კორნილოვის დიქტატურის თანადროულობას

21. რაში მდგომარეობდა 1918 წელს პარიზში მიმდინარე საზავო კონფერენციის ერთ-ერთი შედეგი?

ა. წყალქვეშა ომის აკრძალვაში

ბ. საერთაშორისო სასამართლოს შექმნაში

გ. ერთა ლიგის დაფუძნებაში

დ. ვენის კონგრესის პირობების განახლებაში

22. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია ესპანეთში სამოქალაქო ომის დაწყება?

ა. არჩევნებში სახალხო ფრონტის გამარჯვებამ

ბ. აფრიკაში კოლონიების დაკარგვამ

გ. სამხედრო დიქტატურის დამყარებამ

დ. ფრანკისტების მიერ გატარებულმა რეფორმებმა

23. მეორე მსოფლიო ომის წინ ჰიტლერის მიერ განხორციელებული რომელი ქმედება მიანიშნებდა გერმანიის აგრესიულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე?

ა. ფინეთთან ომის დაწყება

ბ. დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია

გ. რაინის დემილიტარიზებულ ზონაში ჯარის შეყვანა

დ. თავდაცვითი ზღუდის ე.წ. „მაჟინოს ხაზის“ მშენებლობა

24. რამ განაპირობა, რომ 1940 წელს გერმანელებმა ფრანგებს კაპიტულაციაზე კომპიენის ტყეში რკინიგზის ვაგონში მოაწერინეს ხელი?

ა. შურისძიების სურვილმა, რადგან პირველი მსოფლიო ომის ბოლოს გერმანიას სწორედ ასეთ ვითარებაში მოაწერინეს ხელი კაპიტულაციაზე

ბ. ჰიტლერის სიჯიუტემ, როდესაც კატეგორიული უარი განაცხადა, თავის საზაფხულო რეზიდენციაში მიეღო ფრანგული დელეგაცია

გ. ფრანგების დამცირების სურვილმა, რადგან ამ ტყეს ფრანგების წინაპარი დრუიდები წმინდა ადგილად თვლიდნენ

დ. შემთხვევითობამ, რადგან საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის მომენტში ჰიტლერის მატარებელი ამ ტყეში იდგა

25. რას ითვალისწინებდა 1975 წელს ხელმოწერილი ჰელსინკის აქტი?

ა. ბირთვული იარაღის აკრძალვას

ბ. სოციალისტური ბანაკის დაშლას

გ. სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას

დ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევას

26. რა ეწოდება საერთო სახალხო გამოკითხვას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად?

ა. პლებისციტი

ბ. რეფერენდუმი

გ. სახალხო არჩევნები

დ. სოციოლოგიური კვლევა

27. რომელი თავისებურება <u>არ ახასიათებს</u> არასამთავრობო ორგანიზაციას?

ა. მოგებაზე ორიენტირებულობა

ბ. მოხალისეთა შრომის გამოყენება

გ. საზოგადოებრივად სასარგებლოობა

დ. მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება

28. მართებულია თუ არა მსჯელობა სახელმწიფოს დემოკრატიულობის ძირითადი ნიშნებისა და მახასიათებლების შესახებ?

I. სახელმწიფოს დემოკრატიულობას განსაზღვრავს სახელმწიფო მოწყობის ფორმა. ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოები დემოკრატიულია, უნიტარული -არადემოკრატიული.

II. დემოკრატიულ სახელმწიფოს ახასიათებს პოლიტიკური და იდეოლოგიური შემწყნარებლობა.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

29. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი აღმოსავლეთის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ასურეთის სახელმწიფოს შექმნა
2. კიროს II-ის მიერ ქალაქ ბაბილონის აღება
3. ნაბუქოდონოსორის მეფობა

30. ქრონოლოგიურად დაალაგეთ „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების“ ეპოქაში მომხდარი მოვლენები:

1. ბარტოლომეო დიაშის მიერ აფრიკის უკიდურეს სამხრეთ წერტილამდე მიღწევა
2. აცტეკების სახელმწიფოს განადგურება
3. კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა

31. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები:

1. სტალინგრადის ბრძოლა
2. იალტის კონფერენცია
3. სსრკ-ის მიერ ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ანექსია

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი. იპოვეთ მასში დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენს მიერ ნაპოვნი შეცდომა, ისე მისი შესწორებული ვარიანტი. **ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელზე მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა.შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა.** დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

32. ნიდერლანდების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

სახელწოდება ნიდერლანდები ქვეყანას რელიეფის გამო დაერქვა და უკავშირდება სიტყვას „მცირე“. ნიდერლანდები გარკვეული დროის განმავლობაში ჰანოვერთა სამფლობელოს წარმოადგენდა. ევროპაში მიმდინარე რეფორმაციის შედეგად აქ უმეტესად ლუთერანობა გავრცელდა, რაც ესპანეთის სამეფო კართან დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. ესპანეთის მეფე ფერდინანდმა წარმოქმნილი დაპირისპირების სამხედრო გზით გადაჭრა განიზრახა და ნიდერლანდებში დამსჯელი ჯარი გაგზავნა. ომის მიმდინარეობისას ესპანელებმა აიღეს და დაარბიეს ქალაქი კალე, რომელიც მანამდე მნიშვნელოვანი ნავსადგური და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი იყო. დარბევის შემდეგ კი ქალაქმა ვეღარ აღიდგინა ძველი მნიშვნელობა. XVII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ ნიდერლანდების შვიდმა პროვინციამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ესპანეთი დაკარგული გავლენის აღდგენას ლამობდა და ომი კიდევ რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა. თუმცა, საბოლოოდ, ესპანეთის სამეფო კარი იძულებული გახდა მისი დამოუკიდებლობა ეცნო და ახლადშექმნილ სახელმწიფოში მონარქიული მმართველობა დამყარდა.

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

33. ყურადღებით გაეცანით რუკას და უპასუხეთ დასმულ კითხვებს:

(2) 33.1. რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?

(2) 33.2. რუკის მიხედვით დაასახელეთ ორი სახელმწიფო, რომელთა ტერიტორიები სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა.

(2) 33.3. რუკის მიხედვით დაასახელეთ ჯვაროსანთა I ლაშქრობის შემდეგ წარმოქმნილი ორი სახელმწიფო, რომელთა ტერიტორიები მოგვიანებით ეგვიპტის სასულთნოს შემადგენლობაში მოექცა.

(2) 33.4. რუკის მიხედვით, სელჩუკთა დაპყრობების შემდეგ რომელი სახელმწიფოები განაგრძობდა არსებობას ბიზანტიის აღმოსავლეთით?


ბიზანტია
ეგვიპტის სასულთნო
ღაზნევიანთა სახელმ-
წიფოს საზღვარი სელ-
ჩუკთა შემოსევებამდე
ციფრებით აღნიშნულია
1096-1097 წლებში
შექმნილი სახელმწიფოები
1 – ედესის საგრაფო
2 – კილიკიის სამეფო
3 – ანტიოქიის სამთავრო
4 – იერუსალიმის სამეფო
ბიზანტიის იმპერიის საზღვარი
სელჩუკთა დაპყრობების დაწყებამდე
შირვანის სამეფო
1055
სელჩუკთა სახელმწიფოს ტერიტორია და მათ
მიერ განხორციელებული დაპყრობების თარიღები
1097
ჯვაროსანთა მიერ მოგებული ბრძოლებისა და
ტერიტორიების დაკავების თარიღები
ეგვიპტის სასულთნოს მიერ 1187 წლისათვის
დაკავებული ტერიტორიის საზღვარი
ქალაქი
ისტორიული მხარე
1071-1078
1098
1186
1055
1040-1050
ხორასანი
ქირმანი
ფარსი
ხორეზმი
ურგენჩი
ბუხარა
ქუთაისი
თბილისი
არტანუჯი
დარუბანდი
შემახა
დვინი
ეკონია
ედესა
ანტიოქია
ალეპო
ტრიპოლი
დამასკო
აკრა
იერუსალიმი
ალექსანდრია
ქაირო
კონსტანტინოპოლი
ბაღდადი
ისპაჰანი
ჰამადანი
თავრიზი
ურმიის ტბა
ვანის ტბა
მდ. ეფრატი
მდ. ტიგროსი
მდ. ნილოსი
შირაზი

654027

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთ მოცემული ილუსტრაციები. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

34. ყურადღებით გაეცანით კარიკატურას და უპასუხეთ დასმულ კითხვებს:

კითხვები:

(1) 34.1. დაასახელეთ კარიკატურაზე გაშარჟებული პოლიტიკური მოღვაწე.

(2) 34.2. სახელმწიფო მოღვაწის რა პოლიტიკური კურსია გაშარჟებული კარიკატურაზე? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ კარიკატურაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

(1) 34.3. რა არგუმენტს მოიტანთ იმის სასარგებლოდ, რომ ეს კარიკატურა 1945 წლამდეა შექმნილი.

35. ყურადღებით გაეცანით პლაკატებს და უპასუხეთ დასმულ კითხვებს:

№1

№2

წარწერა №1პლაკატზე - უკრაინულად „ჩადექით დივიზია „გალიციის“ რიგებში მამულის დასაცავად!“

წარწერა №2 პლაკატზე - რუსულად „დიდება უკრაინის გამათავისუფლებლებს!“

კითხვები:

(1) 35.1. რომელი სახელმწიფოს ინტერესებს ასახავს №1 პლაკატი?

(1) 35.2. რომელ სახელმწიფოში შეიქმნა №2 პლაკატი?

(1) 35.3. რომელი ისტორიული მოვლენის დროს შეიქმნა ეს პლაკატები?

(1) 35.4. რა იდეა გამოიყენეს ავტორებმა პროპაგანდისტული მიზნის მისაღწევად?

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. **არ დაწეროთ პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი არგუმენტი.** გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

36. ეხნატონის რელიგიური რეფორმა

ფარაონმა ეხნატონმა რელიგიური რეფორმის დაწყების წინ რჩევა ჰკითხა თავის წარჩინებულებს. ერთი რელიგიური რეფორმის გატარების მომხრე იყო, მეორე კი - წინააღმდეგი.

(1) 36.1. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც რეფორმის გატარების მომხრე თავისი პოზიციის გამტკიცებას შეძლებდა.

(1) 36.2. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც რეფორმის გატარების მოწინააღმდეგე თავისი პოზიციის გამტკიცებას შეძლებდა.

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

37. პოლკოვნიკი ბურნაშოვი საქართველოს შესახებ

ქვეყნის მდებარეობა მთა-გორიანია, რაც იქაურ მცხოვრებთ უფრო მკაცრებად აქცევს. სპარსელებ-თან დიდი ხნის კავშირისა და ურთიერთობების გამო გადაიღეს მათი ზნე-ჩვეულებები. თუმცა კი ბევ-რი მათგანი საკმარისად დაჯილდოებულია გამჭრიახობის ბუნებრივი უნარით, მაგრამ არ ზრუნავს შვილების აღზრდისა და განათლებისთვის. ბევრი კეთილშობილთაგანი პირადად მამაცია, მაგრამ დიადი საქმეები, რომლებიც წარმოაჩენს ნიჭიერებას, არა ჩანს. ცხოვრება და საკვები მკაცრია, თავაზიანი მოპყრობა ურთიერთშორის ცოტაა. სახალხო მხიარულებები არ არის, გარდა წელიწადში ორჯერ ცხენებით ჯირითისა და ხშირად კი ფარიკაობისა.

მეფის ნება შეუზღუდავია. დაწერილი კანონები თითქმის არ გააჩნიათ. მთელი საქმეები, სულ მცირენიც კი მეფის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მას ერთადერთს ემორჩილებიან პირფერობით, სხვა ჩინოსნებს კი - მეტად ცუდად. მეფეს ჰყავს თავისი დივანი ანუ საბჭო, რომელშიც მონაწილეობს მისი ყველა შვილი, კათოლიკოსი, მღვდელთმთავრები და მიწების დიდებულები. ესენი არიან საბჭოს წევრები, რომელთაც ეწოდებათ დივან-ბეგები. მეფეს აქვს ჩვეულება მათი რჩევის გარეშე არაფერი იღონოს, თუმცა კი თვითმპყრობელია. მას ჰყავს აგრეთვე საგანგებო მინისტრები: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლების, სამხედრო განკარგულებების. თანამდებობები, უმეტეს წილად, მემკვიდრეობითია საგვარეულოების მიხედვით.

ქვეშევრდომებისგან მიღებული შემოსავლები: მხვნელ-მთესველებისგან მიწათმოქმედების ნაწარ-მის სახით, ვერცხლის, ოქროსა და სპილენძის მადნებიდან, საბაჟო მოსაკრებლებიდან, წყალსადენიდ-ან და თამბაქოს გამოსასყიდიდან, ასევე განჯასა და ერევნიდან, მეზობელი ხანების საჩუქრების ჩათვ-ლით აღწევდა 400 ათას მანეთამდე ოქროთი და ვერცხლით. ჯამაგირით შენახული ჯარები არ არის. ათი წლის წინ, ლეკების მტაცებლობისგან დასაცავად ქართველებში დაიწყო მურიგას შეკრება, რომელიც შედგება 4000 მეომრისგან. ისინი მსახურობენ ერთ თვეს და ბრუნდებიან სახლში. მათ ადგილზე დგებიან სხვები რიგის მიხედვით მთელი სახელმწიფოდან. ამ ჯარით გარდაცვლილმა ბატონიშვილმა ლევანმა თითქმის მთელი მიწა გაწმინდა მთიელთა თავხედური ძარცვა-რბევისგან,

მაგრამ ახლა მეფის არც ერთი ვაჟიშვილი არ მოღვაწეობს ასე ვაჟკაცურად და ამიტომ ამჟამად ასეთი ჯარი არსად დგას გზების, სოფლებისა და მხვნელ-მთესველების დასაცავად.

კეთილშობილები ყველანი მსახურობენ ცხენოსნებად. ჩვენი იქ ყოფნისას ყველა წოდების მეომარი იკრიბებოდა 6000-მდე. მაჰმადიანებს - ყაზახელებსა და შამშადილელებს - საუკეთესო მეომრებს, ამ ქვეყნის რუსეთის მფარველობაში შემოსვლის დროიდან, მეფე აღარ ენდობოდა მათი აღშფოთების გამო და ჯარში აღარ იწვევდა. ყაბარდოელები და ოსები მეფის წარმოებულ ომში მსახურობენ ანაზღაურების სანაცვლოდ. ასევე - ლეკთა ზოგიერთი საგვარეულოც, რომელთაგან მეფეს ჰყავს მძევლები, რათა დარწმუნებული იყოს მათ ერთგულებაში.

ქართული არტილერია გადაიტანება ხარებით. ის მთლად სწორად არაა გაკეთებული და გამართულიც არ არის, მაგრამ საშიშია მეზობლებისთვის, ვინაიდან ამ უკანასკნელთ ველზე არ-ტილერია არ გააჩნიათ. ახლა მეფეს აქვს 12 საკუთარი ქვემეხი, რომლებიც ჩამოსხმულია ტფილისში. დენთს თავად აკეთებენ, მაგრამ პროპორციების არცოდნის გამო იგი უკიდურესად ცუდია.

უმაღლეს სამხედრო თანამდებობას ეწოდება სარდალი. ისინი არიან სამნი, სახელდობრ კი: კახეთში ერთ-ერთი თავად ჩოლოყაშვილთაგანი, ქართლში ორი, ერთი ზემო ივერიაში თავად ამილახვრებისგან, მეორე კი სომხითში თავად ორბელიანებისგან. ეს ჩინები მემკვიდრეობით გადადის საგვარეულოებში. კათოლიკოსსაც ჰყავს თავისი სარდალი. არიან მარჯვენა და მარცხენა ფრთის მეთაურები, ასევე არტილერიის უფროსი, რომელსაც ეწოდება თოფჩი-ბაში. სამხედრო მოხელეები თავიანთ ადგილზე არასდროს არიან ხოლმე, ლაშქრობისას ყოველთვის მეფის სიახლოვეს გროვდებიან. მათი ხელქვეითები კი ლაშქრობის დროს დაეხეტებიან თავიანთ ნებაზე და დგებიან ყოველგვარი წესრიგის გარეშე. მეწინავე რაზმები და ყარაულები არა ჰყავთ. ამის გამო ღამე ისე არ გავა, რომ ცხენებს და ზოგჯერ ადამიანებსაც არ სტაცებდნენ ბანაკიდან მოწინააღმდეგენი. ქართველებიც იგივეს უკეთებენ თავიანთ მოწინააღმდეგეთ.

პროვიანტს არ ამზადებენ. ყველას, ომში წასულს, თან მიაქვს სურსათი, რამდენსაც შეძლებს. ზოგჯერ ჯარისთვის სურსათი მოაქვთ ტფილისიდან, მაგრამ იშვიათად. ამიტომ ლაშქრობის დროს პურსა და სხვა საკვებს იღებენ სოფლებიდან გარჩევისა და დანიშნულების გარეშე. სურსათის უკმარისობა იქცევა ხოლმე იმის მიზეზად, რომ მეფეს არ შეუძლია თავისი ჯარის დიდი ხნით ველზე შენახვა. სამხედრო სიმკაცრე და დაქვემდებარებულობა არ არის. ნადავლი და ნაძარცვი ერთადერთ ჯილდოს წარმოადგენს ლაშქარში მყოფთათვის.

<u>**კითხვები:**</u>

(1) 37.1. რომელი ქვეყნის კულტურული ზეგავლენის კვალს ამჩნევს ავტორი ქართველებს?

(1) 37.2. წყაროს მიხედვით, თანამდებობაზე დანიშვნის ძირითადად რა წესი არსებობდა იმდროინდელ საქართველოში?

(1) 37.3. რა იგულისხმება „მურიგა“-ში?

(1) 37.4. თქვენი აზრით, რატომ იწვევდა ყაზახელების და შამშადილელების აღშფოთებას „ამ ქვეყნის რუსეთის მფარველობაში“ შესვლა?

(1) 37.5. წყაროს მიხედვით, რატომ იყო ქართული არტილერია, ნაკლის მიუხედავად, ეფექტიანი ბრძოლის ველზე?

(1) 37.6. წყაროში არსებული რა ცნობა მიუთითებს, რომ ეკლესიასაც გამოჰყავდა თავისი ჯარი?

(1) 37.7. წყაროს მიხედვით, რატომ უჭირს მეფეს დიდი ხნით ჯარის გაჩერება საომარ პირობებში?

(1) 37.8. რა კონკრეტული მოვლენა იგულისხმება წყაროში ნახსენებ „ამ ქვეყნის რუსეთის მფარველობაში შესვლაში“?

(2) 37.9. წყაროს მიხედვით, ვისგან აჰყავდა მეფეს მძევლები და რატომ?

(2) 37.10. მოიყვანეთ წყაროდან ორი ფაქტი, რომელიც ადასტურებს მეფის ერთხელისუფლებიანობას.

(3) 37.11. წყაროს მიხედვით დაასახელეთ ისინი, ვინც მეფის ჯარში სამსახურისათვის ჯამაგირს იღებდა.

(2) 37.12. რომელ ქართულ სახელმწიფოში არსებული ვითარებაა აღწერილი წყაროში და ვინ მეფობდა იქ იმ დროს?

სწორი პასუხები

1-31 - თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება

1. ბ
2. ბ
3. ბ
4. ბ
5. გ
6. ბ
7. გ
8. ა
9. ბ
10. ა
11. დ
12. ა
13. დ
14. დ
15. ბ
16. დ
17. გ
18. გ
19. ა
20. ა
21. გ
22. ა
23. გ
24. ა
25. გ
26. ბ
27. ა
28. ბ
29. 1 3 2
30. 1 3 2
31. 3 1 2

32. სწორი წყვილი (აღმოჩენილი შეცდომა - 1 ქულა და მისი გასწორებული ვარიანტი - 1ქულა) 2 ქულით ფასდება; სულ 14 ქულა

არის	უნდა იყოს
მცირე	დაბალი
ჰანოვერები	ჰაბსბურგები
ლუთერანობა	კალვინიზმი
ფერდინანდი	ფილიპე II
კალე	ანტვერპენი
XVII	XVI
მონარქიული	რესპუბლიკური

33. სულ 8 ქულა

33.1. XI საუკუნე (1 ქულა) - XII საუკუნე (1 ქულა) - 2 ქულა

33.2. ბიზანტიის იმპერია (1 ქულა), ღაზნევიანთა სახელმწიფო (1ქულა) - 2 ქულა

33.3. იერუსალიმი, ანტიოქია, ედესა - 2 ქულა (ნებისმიერი ერთის დასახელება - 1 ქულა, ნებისმიერი ორის დასახელება - 2 ქულა)

33.4. საქართველო (1ქულა); შირვანი (1ქულა); ღაზნევიანთა სახელმწიფო (1 ქულა) - 2 ქულა (ნებისმიერი ერთის დასახელება - 1 ქულა, ნებისმიერი ორის დასახელება - 2 ქულა)

34. სულ 4 ქულა

34.1. ბენიტო მუსოლინი - 1 ქულა

34.2. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას (1ქულა); ნებისმიერი ლოგიკური დასაბუთება (1 ქულა) - სულ 2 ქულა

34.3. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

35. სულ 4 ქულა

35.1. გერმანია - 1 ქულა

35.2. სსრკ - 1 ქულა

35.3. მეორე მსოფლიო ომის დროს – 1 ქულა

35.4. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

36. სულ 2 ქულა

1. მომხრე – ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა
2. მოწინააღმდეგე – ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

37. სულ 17 ქულა

37.1. სპარსეთი// ირანი - 1 ქულა

37.2.მემკვიდრეობითი- 1ქულა

37.3. მორიგე ჯარი - 1 ქულა

37.4. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი - 1 ქულა

37.5. მოწინააღმდეგეებს არ ჰყავდათ არტილერია//ქართული არტილერია მეზობლებისათვის საშიშია - 1ქულა

37.6. კათალიკოსს ჰყავს თავისი სარდალი - 1 ქულა

37.7. სურსათის უკმარისობა - 1 ქულა

37.8. გეორგიევსკის ტრაქტატი - 1 ქულა

37.9. ლეკებისგან (1 ქულა), არ ენდობოდა მათ// მათი ერთგულების მოსაპოვებლად (1 ქულა) - 2 ქულა

37.10. მეფის ნება შეუზღუდავია//ყველაფერს მეფე წყვეტს//მხოლოდ მას ემორჩილებიან - 2 ქულა (ამ სამიდან ნებისმიერი ერთის დასახელება არის 1 ქულა, ორის დასახელება - 2 ქულა)

37.11. ლეკები (1ქულა), ოსები (1 ქულა), ყაბარდოელები (1 ქულა) – 3 ქულა

37.1.2. ქართლ-კახეთი (1 ქულა), ერეკლე II (1 ქულა)- 2ქულა